



MES 0 20 00351820



28/04/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 10.04.2020

სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი: ნიკოლოზ კიკნაძე (პირველი და მე-2 საკითხები)

სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (მე-3 საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ირაკლი ბურდული - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. დიმიტრი გეგენავა - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. თამარ ტუფინაშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
12. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სხდომაზე დამსწრე მოწვეული საბჭოს წევრები:

1. თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
3. მაია გოგაშვილი- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
4. ნინო მეგრელიშვილი - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, მედიცინის დოქტორი;
5. ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
7. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გრიგოლ სულაბერიძე	ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	მარინე ჯალიაშვილი	ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	პროფესორი	I
3	ნატო ასათიანი	ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	კანცლერი	I
4	ბელა კოპალიანი	ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	სადოქტორო პროგრამების კურატორი	I
5	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
6	ერეკლე მაღრაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
7	ნანა დიხამინჯია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე, პროფესორი	II
8	გიორგი ვეშაპიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II

9	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
10	მიხეილ ჯეიმს სონდერსი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
11	ანა თოფურია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კურიკულუმის ექსპერტი	II
12	ლელა ქელბაქიანი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი	III
13	ილია მესხი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	გიორგი გაბისონია	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	ნინო ალავეძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
16	ხათუნა რუსაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	III
17	თეონა გრიგოლაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
18	სოფიო ყუბანიშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის იურისტი	III
19	თათია ხარაბაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	პროგრამების კოორდინატორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნანა გაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვალერიან გობრონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

5	შალვა კვირკველია	(ჩაერთო „ზუმათ“)	II
6	ანი ხეცურიანი	(ჩაერთო „ზუმათ“)	II

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(აიპ) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი - ირაკლი ბურდული, საბჭოს თავმჯდომარე.

დღის წესრიგის ცვლილების მიზეზი - მოწვეულ საბჭოს წევრებს შორის, დღის წესრიგის პროექტის მიხედვით საკითხების განხილვისთვის ქვორუმის არარსებობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(აიპ) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული).

1. ა(აიპ) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის “ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 24 აგვისტო, გადაწყვეტილება N105
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	თბილისი 0102, დ.უზნაძის ქ. 68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა ბურდულმა, რომელიც საბჭოს სხდომაზე ტელეფონის საშუალებით ჩაერთო, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 10 იანვარს, წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით. მისი თქმით წარმოდგენილმა საგანმანათლებლო პროგრამამ 2018 წელს გაიარა პირობითი აკრედიტაცია, საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, დოკუმენტების შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით კი დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს გათვალისწინებული აქვთ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული გარკვეული რეკომენდაციები და შეტანილია შესაბამისი ცვლილებები. ექსპერტის თქმით, ცვლილება შეეხო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობას, რომელიც განისაზღვრა ინგლისური B2 დონის მოთხოვნით, განახლდა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურა სილაბუსებში, ახალ სტანდარტებთან მეტად შესაბამისობაში მოვიდა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები, თუმცა რეაკრედიტაციის ეტაპზე კვლავ აქტუალურია ზოგიერთი რეკომენდაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების დაზუსტება და მიზნის შესაბამისად ფორმულირება და სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან შესაბამისობაში მოყვანა. მისი თქმით, წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დადგენილი წესის თანახმად შესაბამისობაშია მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტთან, მეტწილ შესაბამისობაშია პირველ და ნაწილობრივ შესაბამისობაში მე-2 სტანდარტთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, რეკომენდაციის ნაწილი ეხება საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებასა და აღწერას, მიღების წინაპირობებს, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტსა და სასწავლო კურსებს, სასწავლო მასალასა და შეთავაზებულ ლიტერატურას. ექსპერტის თქმით, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს.

რეკომენდებულია, დაზუსტდეს მიზნის ფორმულირება და ამოღებულ იქნეს ტერმინი „სოციალური გადახრები“. აღნიშნული რეკომენდაცია წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც. მიზანშეწონილია თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მოცემული სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მერვე დონესთან.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირდეს და განისაზღვროს როგორც ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხით.

რეკომენდებულია, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების სასწავლო კურსის დამატება, ვინაიდან საუბარია სწავლების სადოქტორო საფეხურზე.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით რეკომენდირებულია, წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული 130 კრედიტი. მიზანშეწონილია ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს სპეციფიკური სასემინარო ფორმატი, სილაბუსში ასახული ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების სადოქტორო საფეხურს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია დაკონკრეტდეს სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები.

რეკომენდირებულია, შეიქმნას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უნივერსიტეტში.

დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა, გია სულაბერიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია 2018 წლის აგვისტოში მოხდა, რომლის ვადაც განისაზღვრა 1 წლითა და 6 თვით. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2018 წლის 5 დეკემბრიდან და შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშში შევიდა 1 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები. მისი თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა წინა ჯგუფის მიერ იქნა გაცემული, კვლავ განმეორდა, რომელიც ეხებოდა დაშვების წინაპირობას. მისი თქმით მე-4 და მე-5 პოზიცია მათთვის გაუგებარი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მე-4 რეკომენდაციაში საუბარია, რომ არასპეციალისტებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი პირობები, რომ მათ შეძლონ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. ამასთან დაკავშირებით, მათი არგუმენტირებული პოზიცია იყო ის, რომ დოქტორანტურის დებულების თანახმად, დაშვების წინაპირობაში მითითებულია, რომ დოქტორანტურის კანდიდატი გადის გასაუბრებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, იგი რეფერატის სახით წარმოადგენს დარგში კვლევითი ინტერესის გამომსახველ მის მიერ მოწოდებულ რეფერატს ან ნაშრომს, თუ გამოქვეყნებული აქვს და სპეციალური კომისია მიიღებს ამ ნაშრომს, შემდეგ ის გადის უცხო ენაში გასაუბრებას და აბარებს გამოცდას ფსიქოლოგიის დისციპლინაში. შესაბამისად, არასპეციალისტს უწევს ამ აქტივობების შესრულება. სადოქტორო პროგრამა ძირითად აქცენტს აკეთებს სოციალურ გადახრებზე, დევიაციურ ქცევებზე, პროსკულტურულ ფსიქოლოგიაზე. მისი თქმით, მე-5 რეკომენდაციაში მინიშნებულია, რომ დაშვების წინაპირობა მოდიფიცირდეს და განისაზღვროს ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხით. ის ფიქრობს რომ მე-4 და მე-5 რეკომენდაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სამეცნიერო კომპონენტში მითითებულ 130 კრედიტს, რომელშიც, მისი თქმით, არც თუ ისე დიდი ხნის, წინ შეტანილი იქნა ცვლილება, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტთა წინა ჯგუფის რეკომენდაცია იყო სასწავლო კომპონენტის შემცირება, მათ გაზარდეს კვლევითი კომპონენტი, რითაც ისინი კანონს არ არღვევენ. მისი თქმით, 6 თვის წინ მათ რეკომენდაცია არ ჰქონდათ, ამიტომ გადაკეთდა ის 130 კრედიტად, კანონის თანახმად კი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს საშუალოდ 60 კრედიტს, დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არის არა ნაკლებ 3 წელი. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ნიშნულები, რითაც შემოწმდება რამდენად ასრულებს სტუდენტი კვლევით კომპონენტს, მათ გააკეთეს კვლევითი ნაწილის გარკვეულ ნაწილში შეფასების კრიტერიუმები. მაგალითად, კოლოქვიუმის შეფასებისას.

რაც შეეხება რეკომენდაციას სასწავლო მართვის ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა ეს დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსებთან. სილაბუსებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სილაბუსი არის მუდმივად ცვალებადი ორგანიზმი, სწავლის შედეგები 3 მოთხოვნით არის მოცემული და 2021 წლამდე ის კიდევ დაიხვეწება, მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურის განახლებაც. დანართებში კი მოცემულია თითოეული საგანი თუ რა სწავლის შედეგებზე გადის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა კაკიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, პირველი აკრედიტაციის დროს მათ არგუმენტირებულად დაასაბუთეს, რომ დარჩენილი იყო სახელი „ფსიქოლოგია“, თუმცა შემდეგ ისევ მისცეს რეკომენდაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკონკრეტებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რაც გაიზიარეს და დაარქვეს საგანმანათლებლო პროგრამა დევიაციურ ქცევებსა და კროსკულტურულ ფსიქოლოგიაში. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღწერაში გამოყენებული ჰქონდათ ტერმინი სოციალური გადახრა და დევიაციური ქცევა,

ექსპერტები კი ურჩევენ, რომ ამოიღონ სოციალური გადახრა, რადგან ისინი სინონიმური ცნებებია, თუმცა სილაბუსსა და საგანმანათლებლო პროგრამის სათაურში არის დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია. შესაბამისად, მათ ამოიღეს სოციალური გადახრის ცნება. რაც შეეხება სწავლის შედეგების სილაბუსებთან შესაბამისობას, სამიზნე ნიშნულებში გაწერილია რომელი საგანი რომელ შედეგზე გადის და მიმდინარეობს მუშაობა სილაბუსების დახვეწაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეკომენდაცია ეხებოდა სტატისტიკური მონაცემების საგნის დამატებას, რასაც ვერ ითვალისწინებენ, რადგან მისი შემოტანა საგანმანათლებლო პროგრამიდან 2 საგნის ამოღებას მოითხოვს. გარდა ამისა, სტუდენტები გაივლიან ისეთ საგნებს, როგორიცაა: „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, „სოციალური კვლევის მეთოდები“, „კვლევის მეთოდოლოგია“, სადაც აქცენტი გაკეთდება მონაცემთა სტატისტიკური კვლევის დამუშავებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგს არ მოეთხოვება სტატისტიკის ღრმად ცოდნა, დოქტორანტების უმრავლესობას მაგისტრატურაში გავლილი აქვთ სტატისტიკის საგანი. გარდა ამისა, თუ დოქტორანტს არ აქვს გავლილი ეს საგანი, მას შეუძლია გაიაროს სტატისტიკის მეთოდების გაძლიერებული სასწავლო კურსი ან დაიხმაროს სტატისტიკოსი, რათა ნაშრომი ამ კუთხით იყოს გამართული. რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო კომპონენტში დატოვეს 50 კრედიტი. მისივე თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულები არიან მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური გამოცდილება და ახალი თანამედროვე ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბელა სარიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მისთვის დიდი პატივი იყო. მისი თქმით, დევიანტური ქცევის ბავშვებისათვის სამთავრობო პროგრამების შედგენა არის პრიორიტეტი, პრემიერის ადმინისტრაციის დავალებით მან მოამზადა მასალები ამერიკის კონგრესის, USAID-ის მიერ დაფინანსებული კვლევის შედეგების შესახებ, რომელიც ამგვარი მოზარდების რაოდენობას საქართველოში განსაზღვრავს 9 000-ით. შესაბამისად, იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები იყოს მართებული და რელევანტური არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით, ისინი უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო კვლევებს. საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობით შეიძლება გაიგოთ, რომ რამდენიმე ძირითადი კლასტერი კვლევებისათვის მომზადებული იქნება ძალიან კარგად, ისინი შეძლებენ იკვლიონ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და ამ ბაზის რელევანტურობა არსებულ სიტუაციასთან. საინტერესო იქნება კომპლექსური ინტერსტრუქტურული კვლევა, რეფერალურ სისტემაში ბავშვების ჩართვის შესაძლებლობებისათვის ბაზის შექმნა, სოციალური სამსახურებისა და პოლიციის არაკომპეტენტური არაკოორდინირებული სამუშაოსათვის, ყალიბების მოძიებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოამზადოს ისეთი კადრი, რომელიც ასეთი ტიპის ძალიან რთულ დავალებებსაც კი გაართმევს თავს. მისი თქმით, კვლევების რელევანტურობის თვალსაზრისით საქართველოში ჩატარებული კვლევები უცხოური მკვლევარების მიერ არარელევანტურად არის მიჩნეული, სწორედ ამიტომ სისტემა, რომელიც შემოაქვთ საგანმანათლებლო პროგრამის ავტორებს და გაწერილია სწავლის შედეგებში უზრუნველყოფს და უახლოვდება ევროპულ თანამედროვე სხვა გამოცდილების კვლევის სისტემებს. საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ასამაღლებლად ამ რაკურსის პრობლემების შესახებ შესაძლებელი იქნება, შეიქმნას მასალები. კონკრეტული ჯგუფები, რომელთა ინტერესს დაფარავენ კურსდამთავრებულები და ის ადამიანები, დოქტორანტებთან ერთად ჩაერთვებიან ისეთ პროექტებში, როგორიც არის: ბავშვები სიღარიბის ზღვარს მქონე ოჯახებიდან, დევნილი ბავშვები, ბავშვები მცირე ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებიდან, მიუსაფარი ბავშვები, სამართალდამრღვევი ბავშვები, სადაც ამ ტიპის ქცევა გარკვეულ სუბკულტურად არის ჩამოყალიბებული, რომელიც გულისხმობს გარკვეულ მსოფლმხედველობრივ ერთიანობას, ცხოვრების წირის ერთიანობას, საკომუნიკაციო ენის თავისებურებას. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ყველა ამ ნიუანსს. ის იძლევა შესაძლებლობას, აღზარდოს ისეთი კადრი სამეცნიერო წრეებში, რომელიც სახელმწიფოს დაეხმარება აღნიშნული პრობლემების მოწესრიგებაში. დაგეგმვის შემდეგ იქნება რეალური ახალგაზრდა მეცნიერების

ბირთვი, რომლებიც შეძლებენ კონკრეტული პროგრამების სწორად განხორციელებას, მეთვალყურის როლის შესრულებას, მათ ბევრ მიმართულებაში, რომელიც დევიანტური ქცევის არასრულწლოვანში განვითარებას შეეხება, ამ მხრივ დიდი წვლილი აქვთ შეტანილი.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან და სილაბუსებთან დაკავშირებით, სავალდებულო საგნები ფაქტობრივად არის საბაზო საგნები, შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურით. მაგალითად, „სოციალური ფსიქოლოგიის“ ძირითადი ლიტერატურა არის სოციალური ფსიქოლოგია, რომელიც განკუთვნილია საბაკალავრო-სამაგისტრო სტუდენტების საფეხურისთვის. ასევე, განათლების ფსიქოლოგიაში წარმოდგენილია ლიტერატურა, რომელიც 2009 წელს სპეციალური პროგრამის ფარგლებში ითარგმნა უმაღლეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით, რომლის შესავალშიც წერია, რომ ის განკუთვნილია განათლებაში დასაქმებული პედაგოგებისთვის, სტუდენტებისთვის, რაც არის საბაზო ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, თუმცა აქვს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები, რომლის გარდა არის უამრავი სხვა საკითხი რაც არ არის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამაში, ერთი სიტყვით დარგობრივი საგნების სახელმძღვანელოები არის საბაზო საფეხურის.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ საბაზო კურსების გარდა სილაბუსში მითითებულია სხვა ლიტერატურაც, მათ დატოვეს საბაზო ლიტერატურა, რადგან თავდაპირველად გაფართოებული ჩარჩო სხვადასხვა განათლების ადამიანებს აძლევდა შესაძლებლობას გაეცლოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა, იმისათვის, რომ გაეძლიერებინათ საბაზო ცოდნა, მათ მისცეს რეკომენდაციაც, რომ საბაზო კურსები დაემატებინათ. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები არ გადიან დევიაციური ქცევის კურსს პირველ და მეორე საფეხურზე, მათ ჩათვალეს, რომ შეუძლიათ ის შემოიტანონ მესამე საფეხურზე. მათ აქვთ სახელმძღვანელო „სოციალური ფსიქოლოგიის თეორიები დევიაციურ ქცევებთან მიმართებაში“ და არა მთელი სოციალური ფსიქოლოგია. მისი თქმით, ქართულენოვანი ლიტერატურის სიუხვე ამ კუთხით არ არის, თუმცა ისინი მუდმივად მუშაობენ სილაბუსების განახლებაზე.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ აქვთ საგანი „სამეცნიერო კვლევის მეთოდები“, რომელიც შეიძლება აკადემიური წერის კომპონენტი იყოს და არ აქვთ ცალკე კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ საგანი „კვლევის მეთოდოლოგია“, რომელსაც კითხულობს ქ-ნი ქ. პ. ასევე, აქვთ ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებიც, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, რომლის ლიტერატურაც იციან, რომ გამოიყენება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს ისეთი სტუდენტი, რომლებსაც არ აქვთ გავლილი ეს სასწავლო კურსი, მათაც ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიარონ ის.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის ელემენტარული საკითხია რასაც დაწესებულების წარმომადგენელი ამბობს, თუმცა თუკი სტუდენტი ცდილობს კონკრეტულ სფეროში გაიდრმავოს ცოდნა, ეს უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა დამატებითი საგნების არჩევის ხარჯზე, კრედიტების გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი საგნების კატეგორია, სოციალური კვლევის მეთოდები, თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რომელიც უნდა იყოს განყენებულად და უნდა არსებობდეს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მისთვის გაუგებარია სოციალური კვლევის მეთოდები რატომ ისწავლება ცალკე, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამაში არის ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები. ასევე, საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ სასურველია სტატისტიკური კვლევის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამაში, მითუმეტეს, რომ დევიაციური ქცევის მიმართულებისთვის სტატისტიკური კვლევის მეთოდები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადი მეთოდოლოგია. მას სჭირდება ემპირიული კვლევა,

სტატისტიკური მეთოდების გამოყენება და მონაცემთა ანალიზი. საბჭოს წევრი ექსპერტებს დაეთანხმა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან და დიზაინთან დაკავშირებით, რომ ის უნდა გადაეწყოს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. სწავლის შედეგები არის რეალურად ის ნაწილი, რომელიც იძლევა კვალიფიკაციას და იმ უნარების კრებდითი დამახასიათებელია, რომელიც ამ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს. ის დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან რამდენი იყო ფსიქოლოგიის დოქტორი, რომლებსაც შეუძლიათ ჩართვა და ხელმძღვანელობა, ასევე, არსებული რესურსით რამდენი დოქტორანტი არის საგანმანათლებლო პროგრამაში და რამდენი ხელმძღვანელი ჰყავთ მათ. მან ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს საჩვენებელი ლექციის ჩატარება რატომ იყო ცალკე კრიტერიუმად გამოტანილი, რომელსაც აქვს 5 კრედიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ რომელიმე სასწავლო კურსის ამოღებას ამჯობინეს სტატისტიკის ცოდნის სხვა მხრივ გაღრმავება, მათთან არის სამაგისტრო სხვა საგანმანათლებლო პროგრამები სადაც გადიან სტატისტიკის კურსს. სტუდენტებს, რომლებსაც არ ექნებათ ეს საგანი გავლილი, ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ ისინი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, თ. ჯ. არის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თ. გ. კი მუშაობს განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებით. დევიაციურ ფსიქოლოგიას მნიშვნელოვანია, ასწავლიდეს ამ სფეროში მოღვაწე პიროვნება. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობის კომპეტენცია აქვთ მარინა კაკიაშვილს, თამარ ჯავახიშვილს, თამაზ გოგიჩაიშვილს და ჰყავთ ორი აქტიური დოქტორანტი.

საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა რამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავდა საგანმანათლებლო პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტატუსი შეჩერებული აქვს 2 დოქტორანტს. ასევე, მან აღნიშნა, სილაბუსებთან დაკავშირებით, რომ მათ შეცვალეს სილაბუსები, ორიენტირება გააკეთეს პრობლემური სწავლების მეთოდზე, შეცვალეს ლექციების თანმიმდევრობა, საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, შემოიტანეს გამოცდისთვის კვლევითი ნაშრომი, პრეზენტაციები და სხვის მიერ შესრულებული ნაშრომების რეცენზიები, შეადგინეს სამიზნე ნიშნულები და კურიკულუმის რუკა. შესაბამისად ახალი საგანმანათლებლო პროგრამა გაუმჯობესებულია. ასევე, მან აღნიშნა, რომ საჩვენებელ ლექციას ეთმობა 5 კრედიტი, რადგან ყველა დოქტორატმა უნდა ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია, ამას სჭირდება დიდი მუშაობა და საჭიროდ მიიჩნიეს 5 კრედიტის განსაზღვრა.

საბჭოს წევრის დიმიტრი გეგენავას განმარტებით, შეუძლებელია საჩვენებელი ლექციის ჩატარებისთვის მომზადებას დასჭირდეს 125 საათი და შესაბამისად, ის დაინტერესდა, რაიმე რაციონალურ კრიტერიუმებთან დაკავშირებით იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული თუ უბრალოდ მათ ასე ჩათვალეს საჭიროდ, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა შეაჯამა ნინო დობოჯგინიძისა და დიმიტრი გეგენავას მოსაზრებები კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური სასწავლო კურსი, რომ ჰქონოდა საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნული შეკითხვები არ წარმოიშვებოდა. რაც შეეხება შეკითხვას, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საუბარია ახალი ცოდნის შექმნის შესახებ. დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხშირად უცხოელები ვერ იგებენ ქართველების კვლევას, მისი თქმით ამის მიზეზია ის, რომ ხდება ამოგლეჯილად კვლევების განხორციელება. კვლევა დაფუძნებული უნდა იყოს საერთაშორისო კვლევებზე. ის დაინტერესდა რომელ საერთაშორისო ჟურნალებს აცნობენ ისინი დოქტორანტებს სემინარებზე თუ სასწავლო კურსებზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ჟურნალები რომლებსაც ისინი დოქტორანტებს აცნობენ არის საქართველოს აკადემიის ჟურნალი, ინტელექტუალი, თსუ-ს ჟურნალი, სადაც მათ შეუძლიათ გამოაქვეყნონ მათი ნაშრომები. ასევე, სამეცნიერო ბაზებში შემავალი ჟურნალები.

საბჭოს წევრის თქმით, სადოქტორო კვლევების გარჩევა უნდა იყოს სასწავლო მასალებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით თქვა, რომ ფსიქოლოგიის კვლევაში ექსპერიმენტულ კვლევას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. ის დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ სტატიების ანალიზი სასემინარო სამუშაოდ სტუდენტებს გამოადგებოდათ და შესაძლოა გაეთვალისწინებინათ ეს შენიშვნა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას მომავალში აუცილებლად დახვეწავენ.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 14:37

დამთავრების დრო 14:51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-2 სტანდარტი ნაცვლად, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა პროგრამას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

2. სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა თვითაცილება.

თვითაცილების საფუძველია დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტთა პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერიან გობრონიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მათ აქვთ მხოლოდ 1 რეკომენდაცია, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში გასწორდეს გამოყენებული ტერმინოლოგია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ნაწილში. მისი თქმით აქ გამოყენებული იყო ტერმინოლოგია „ზოგადი მოდული და ძირითადი სპეციალობა“, რომელიც სასურველია, შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან. საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე გამოყენებული იყო ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების, საგნების, მოდულების ტერმინის ნაცვლად ძირითადი სპეციალობა 120 კრედიტის მოცულობით და თავისუფალი კომპონენტების ნაცვლად ზოგადი მოდული.

დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ჟვანიას თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა არის ინგლისურენოვანი, მას სათაურში აქვს მითითებული „მეიჯორ“, როგორც სათაურის ნაწილი, ის არ ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის შეთავაზებას სტუდენტებისთვის, რაც წინასწარ ეცნობება აბიტურიენტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ კონსულტაცია ცენტრთან, რომელმაც ურჩია მათ, რომ გაჩენილიყო დამატებითი ველი, სადაც შესაძლებელი იქნება ასახული იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ მეიჯორისგან, თუ ითვალისწინებს “მაინორის” კომპონენტს. რაც შეეხება ზოგად მოდულს, უნივერსიტეტში ყველა საბაკალავრო პროგრამის კომპონენტად არის აღებული ზოგადი მოდული, რომელიც თავად ასახავს, რას ითვალისწინებს უნარი. ძირითადად ის ორიენტირებულია ტრანსფერული უნარებისა და ზოგადი ცოდნის განვითარებაზე. შესაბამისად, ეს არის უნივერსიტეტის მოდული, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობაში ჰქონდეს ზოგადი მოდული. იმისთვის, რომ ტერმინოლოგია მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩოსთან, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ამატებენ, რომ ის შედგება თავისუფალი კომპონენტისგან, რომლის ფარგლებშიც შემოთავაზებული იქნება ზოგადი მოდული.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებენ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის ახალი? მისი თქმით დასკვნაში ფიქსირდება რჩევები ლაბორატორიულ მოწყობილობებთან დაკავშირებით, მაგალითად, სასწავლო კურსში „ელექტრო მაგნიტური ველები“, საუბარია წრედებზე ელექტრონული ქსელების და წრედების ანალიზზე, რასაც სჭირდება ლაბორატორიული მუშაობა, შესაბამისად, ის დაინტერესდა ამ თვალსაზრისით რა სამუშაო მიმდინარეობდა უნივერსიტეტში?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორიები ჯერ-ჯერობით გათვლილია 20-25 სტუდენტზე, თუმცა, მათ აქვთ ბევრი საგნის ლაბორატორია, მაგალითად ფიზიკის საფუძვლების, ელექტრონიკის საფუძვლების, მიკროელექტრონიკის ლაბორატორია, “ეფ პი ჯი ეს” ლაბორატორია პროცესორების შექმნისათვის, ასევე აქვთ საწყისები ანტენების ლაბორატორიის, რომლის განვითარებასაც გეგმავენ სამომავლოდ. მისი განმარტებით ეს ლაბორატორიები მათ გადაეცათ სან დიეგოს უნივერსიტეტთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში. მათ კონკურსი გამოცხადებული აქვთ 10 ქართველ და უცხოელ სტუდენტზე და სავარაუდოდ, ეყოლებათ 15 სტუდენტი, თუმცა, ზოგადად გათვლა აქვთ 25 სტუდენტზე. ასევე, მათ აქვთ ცალკე ლაბორატორია გამოყოფილი, იმისთვის რომ სტუდენტებმა პროექტი გააკეთონ.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული დაინტერესდა თუ იზრდებოდა სტუდენტთა ინტერესი პროგრამის მიმართ, რაც დაუდასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ასევე, იზრდება ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ ადგილობრივი ეკონომიკის მხრიდან მოთხოვნა ზრდადია და მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები შეძლებენ, მოემსახურონ სხვადასხვა სფეროებს, როგორცაა: სამშენებლო ინდუსტრია, ელექტრო გენერაცია, სარკინიგზო ინდუსტრია, საავტომობილო და სხვა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ გრძელდება სწავლის საფასურის დაფინანსება სან დიეგოს პროგრამებზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სან დიეგოს უნივერსიტეტში სწავლის ღირებულების საფასური საქართველოს მოქალაქეებისათვის წელიწადში 7 500, ხოლო უცხოელებისათვის 13 000 ლარი გახლდათ. მილენიუმი პირველ წელს ძირითადად ფარავდა გადასახადს, თუმცა, შემდეგ უკვე ნელ-ნელა შეამცირა და ამ ეტაპზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის საფასური არის 2 250 ლარი, ხოლო უცხოელებისათვის 3 500 დოლარი. ამას გარდა, წელს 15 საუკეთესო სტუდენტი მიიღებს 2 000 ლარიან სტიპენდიას ბაზის ბანკისგან.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:55 სთ

დამთავრების დრო: 15:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, პროგრამას მიანიჭა 4 წლით აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული)

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი, ერთსაფეხურიანი ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო., ქ.ქუთაისი, 4600, წერეთლის ქ. N13.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ სააპელაციო საჩივრის შინაარსი.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, ილია მესხმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოწონებული იყო საბჭოს წევრების მიერ და გასაჩივრებული იყო ის ნაწილი, სადაც ისინი ამბობდნენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგებზე არ გადის. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოცდების შეფასების კრიტერიუმები საბჭოს წევრებს ზედმეტად უნივერსალურად მოეჩვენათ, რაც სინამდვილეში წარმოადგენდა პრინციპის გაზიარებას ყველა კლინიკური საგნისთვის, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გახლდათ. საბჭოს სხდომაზე იყო გარკვეული შეფასება პედაგოგის ინგლისური ენის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც ასევე, გასაჩივრდა. მაგალითად მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ სამმა პედაგოგმა აირჩია ინგლისურენოვან ექსპერტთან საუბრისას ქართული ენა. ცენტრის მხრიდან წარმოდგენილი იყო თარჯიმანი, შესაბამისად, მათ ჩათვალეს, რომ საკუთარ აზრს მშობლიურ ენაზე უკეთ გამოხატავდნენ, თუმცა მათ აქვთ შესაბამისი სერტიფიკატები, რაც წარდგენილი იყო გასაჩივრების დროს და ისინი უკვე კითხულობენ ლექციებს ინგლისურ ენაზე სხვა უნივერსიტეტებში. მისი თქმით, საბჭოს წევრებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ ზოგიერთი სილაბუსი იყო არაკვალიფიციურად შედგენილი, განსაკუთრებით, ქიმიისა და ფიზიკის სილაბუსები. გამომდინარე იქიდან, რომ თარგმნა განახორციელა თარჯიმანმა და არა დარგის სპეციალისტმა, სილაბუსებში გაიპარა ტექნიკური ხარვეზი. საბჭოზე საუბარი იყო პედაგოგების რაოდენობაზეც და აღინიშნა, რომ იმ მომენტისათვის მათ ჰყავდათ 65 პედაგოგი 100 სტუდენტზე, საუბარი იყო იმის შესახებაც, თუ იყო თბილისიდან პედაგოგების მობილობის შესაძლებლობა, რაც დაუსაბუთებელი იყო, რადგან ხდებოდა ლექტორების ტრანსპორტითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ხელფასიც მიმზიდველი გახლდათ. გარდა ამისა, ის პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებებს პედაგოგებთან, რომლებიც მზად იქნებოდნენ თბილისიდან ქუთაისში წასვლისთვის, იქ ლექციების წასაკითხად. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ გაითვალისწინა მათი შუამდგომლობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ არის გამოხატული პროფესიული განვითარება, რომელიც იწყება პირველივე კურსიდან და გრძელდება მეექვსე კურსის ჩათვლით, რაც საგანმანათლებლო პროგრამის დაწერის დროისთვის იყო „ნოუ ჰაუ“ და ასახავდა თანამედროვე მოთხოვნებს. ასევე, მისი თქმით, კარგად იყო ინტეგრირებული საბაზო და კლინიკური საგნები, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. მაგალითად, მეექვსე კურსზეც კი გათვალისწინებული იყო კლინიკური გენეტიკა და კლინიკური ფარმაცოლოგია. მან ხაზგასმით და სიამაყით აღნიშნა, რომ მათ ააწყეს ვირტუალური რეალობის ოთახი, სადაც უკვე ჩაწერილია ანატომიის სრული კურსი. მათ ასევე გაფორმებული აქვთ კონტრაქტები ფუნქციური ნაწილის ჩასატარებლადაც. ოსკის ნაწილში პირადად მას აქვს დიდი გამოცდილება, ყველა შესაძლო მულაჟი აქვთ შეძენილი, რაც უცხოელი ექსპერტის მიერ შეფასდა დადებითად. საგანმანათლებლო პროგრამამ, სანამ წარდგებოდა სააკრედიტაციოდ, გაიარა დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება, კერძოდ ჰოლანდიელი ექსპერტის, რომელმაც პროგრამა დადებითად შეაფასა. პროგრამა დადებითად შეფასდა ქართველი ექსპერტების მხრიდანაც, შესაბამისად, მათ ჩათვალეს, რომ იმ უზუსტობის გამო რაც წინა საბჭოზე დაფიქსირდა სიმულაციურ პაციენტთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო ღირსი ასე შეფასებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2019 წელს, როდესაც საბჭომ უარის თქმის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, მათ არ დაურღვევიათ ფორმალური წინაპირობები პროცედურასთან და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საბჭოზე შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით დადგა საკითხი გამოცდების შეფასების კრიტერიუმთან, რომელიც მათ დაიწუნეს, ასევე, პედაგოგების

ინგლისურის დონე, რომლის შემოწმების ორი მექანიზმია სერტიფიკატის წარმოდგენა და ექსპერტების მიერ მათთან გასაუბრება. საბჭოს თავჯდომარის თქმით, მისთვის გასაგებია, რომ როდესაც არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე ადამიანი უკეთ გამოხატავს საკუთარ აზრს, თუმცა როცა საუბარია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე, ეს შეიძლება ხარვეზადაც ჩაითვალოს. საკითხი ეხებოდა პედაგოგების მობილობასაც და საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას, რომ შესაძლებელია მათი მობილობა. ის ასევე დაინტერესდა, თუ რამდენი იყო პედაგოგების გამწევუნარიანობა? 2019 წლის შემდეგ, როდესაც მათ დაუწუნეს 100 სტუდენტზე 65 პედაგოგი, გავიდა დიდი დრო და შესაბამისად, ის დაინტერესდა, გამოაცხადა თუ არა დაწესებულებამ კონკურსი აკადემიური პერსონალის დამატების შესახებ და რამდენი აკადემიური პერსონალი დაიმატეს? როგორია თანაფარდობა ამ ეტაპზე როგორც აკადემიური პერსონალის, ისე, მოწვეული მოწვეულისა სტუდენტებთან. სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა და ის ასევე დაინტერესდა, ამ კუთხით რა მდგომარეობაა დაწესებულება?

დაწესებულების წარმომადგენელი საბჭოს თავჯდომარეს დაეთანხმა პედაგოგების მობილობისა და ინგლისური ენის ცოდნის დონის საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, საბჭოს ამასთან დაკავშირებით შენიშვნა არ ჰქონია, რადგან ქუთაისში საკმაოდ ბევრი კლინიკაა, რომელთანაც მათ გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორისაა: ევექსის კლინიკა, ქუთაისის ინფექციური საავადმყოფო, რომელიც დღეს ჩართულია ეპიდემიასთან ბრძოლაში და ასევე, ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული კიდევ 7 კლინიკასთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე ის მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა თავისუფლად დაიტევს სტუდენტებს. რაც შეეხება კლინიკების, მათი მოძიების პროცესში ის გაკვირვებული დარჩა ამ კლინიკების აღჭურვილობით. რაც შეეხება შეფასების სისტემას, ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრების შენიშვნა იყო, რომ ერთი და იგივე ტიპის შეფასება მეორედებოდა. რეალურად კი საუბარი იყო საერთო პრინციპზე, კონკრეტულად: ემ სი ქიუ, ესსე, პრეზენტაცია, ოსკი, რომლის დეტალური ჩაშლა არ განუხორციელებიათ, არამედ მოქმედებდნენ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. გარდა ამისა, მათ აქვთ საშუალება არ მხოლოდ მულაჟების გამოყენების, არამედ შეუძლიათ, ვირტუალური რეალობაც ჩასვან ოსკში. საბჭოზე კამათი წარმოიშვა სიმულაციურ პაციენტებთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ ემოციური კამათი გახლდათ, მისი თქმით, მათ ექნებათ ბიძანულარული გასინჯვის მულაჟი და სიმულაციური პაციენტიც. ისინი არ ამზადებენ ზოგადი პრაქტიკის ექიმს, არამედ, ექიმს უნდა ჰქონდეს ზოგადი უნარები, თუმცა იქ არ იყო წარმოდგენილი სპეციფიკური უნარი მაგალითად, გინეკოლოგიაში სარკის ჩადგმა სილაბუსში ასახული არ ყოფილა, რაც დღევანდელ სილაბუსებში ჩასწორებულია ანუ აღწერილია ის სპეციფიკური უნარები, რასაც დაეუფლება კურსდამთავრებული კლინიკურ საგნებში. მისი თქმით, ის თავად ამოწმებდა ინგლისური ენის ცოდნის დონეს პედაგოგებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა მორჩაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ გასულ წელს, როდესაც მათ მიიღეს აკრედიტაცია, ჰყავდათ 54 პერსონალი, ახლა ჰყავთ 61 თანამშრომელი, რომლისგანაც 20 არის აკადემიური პერსონალი ხოლო 41 - მოწვეული. პროპორციებს რაც შეეხება, 100 სტუდენტზე ჰყავთ 21 პერსონალი, რაც კრიტიკულ მაჩვენებელს 2 ჯერ აღემატება. ასევე, კონკურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი ეტაპია საჯარო ლექცია. გასაუბრება, რომელიც ინგლისურ ენაზე ტარდებოდა, კანდიდატებს წარდგენილი ჰქონდათ სერტიფიკატები მინიმუმ B2 დონის შესაბამისად და ვისაც არ ჰქონდათ ენის სერტიფიკატი, ჩაუტარდათ ტესტირება, რომელიც შედგენილი იყო კვალიფიციური პერსონალის მიერ, ამ ეტაპის შემდეგ მათ ჩაუტარდათ გასაუბრება, რომელიც ასევე, ინგლისურ ენაზე შედგა. შედეგად დაემატათ 7 აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გაზომვა იმისა თუ რა დონეზე ფლობს პერსონალი ინგლისურ ენას, რთულია, მაგრამ არსებულ საბჭოზე წარმოდგენილი სერტიფიკატები B2 დონის შესაბამისია, რაც არ არის აკადემიური დონე,

ვინაიდან აკადემიური დონე იწყება C2 დონიდან. მან ასევე დაასახელა სახელები და გვარები იმ პირების, რომლებსაც ჰქონდათ B1–B2 დონის სერტიფიკატები წარმოდგენილი, რაც ლექციის წასაკითხად არ მიაჩნია საკმარისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ წარმოადგინეს 13 პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებიც უშუალოდ გასაუბრებაზე იყვნენ, რომლებსაც არ ჰქონდათ B1-ზე მაღალი სერტიფიკატი, თუმცა მათ გაიარეს გადამზადება და აპელაციის საბჭოს წარუდგინეს განახლებული დოკუმენტაცია. მისი თქმით, B2 დონე იყო მათი მინიმალური მოთხოვნა, პროფესიულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით კი პერსონალს გაესაუბრა კომისია. მისი თქმით, პერსონალის 60% უკვე ასწავლის სხვა უნივერსიტეტებში ინგლისურენოვან ფაკულტეტზე.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ დასძინა, რომ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე B2 დონე არის მინიმალური ზღვარი.

საბჭოს მოწვეული წევრი თამარ ვალიშვილი ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რატომ დასჭირდა თარჯიმანი პერსონალს ექსპერტების ვიზიტის დროს? ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მნიშვნელოვანია ენის ცოდნა, ექსპერტობის გამოცდილებიდან სხვა უნივერსიტეტებში, მას ჰქონდა შემთხვევა, როდესაც სთხოვდნენ, რომ პერსონალის კომპეტენცია დაედასტურებინათ მათთან ინგლისურად გასაუბრებით. მისი მოსაზრებით, თუ პერსონალს არ ჰქონდა არანაირი პრობლემა ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ეს უნდა დადასტურებულიყო ვიზიტის დროს. წინა საბჭოს შენიშვნა გახლდათ, რომ შეფასების სისტემა ჰქონდათ უნიფიცირებული, რაც უარყო დაწესებულების წარმომადგენელმა, თუმცა როდესაც მან სილაბუსებს გადახედა, ნახა, რომ თეორიული სასწავლო კურსის შეფასების სისტემები იყო უნიფიცირებული შემდეგ სასწავლო კურსებში: ანატომია, ფიზიოლოგია, პროფესიული განვითარება, ფიზიკა და ქიმია. ასევე, მან ინტეგრაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით-ანატომია ფსიქოლოგია არის დაინტეგრირებული, რასაც მოჰყვება ფსიქოლოგია და ბიოქიმია. შესაბამისად, ის დაინტერესდა პრაქტიკოსმა ექიმმა როგორ უნდა ასწავლოს ანატომიაც და ფსიქოლოგიაც? გარდა ამისა, სილაბუსში მითითებულია, რომ მეცადინეოები ჩატარდება ლაბორატორიებში. მან აღნიშნა, რომ ის დიდ პატივს სცემს ერთ-ერთ პედაგოგს, თუმცა ის ასწავლის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ფიზიოლოგიას, პროფესიით კი არის ბიოლოგი და მისი ინფორმაციით ბიოქიმიის სწავლებაში მას გამოცდილება არ აქვს, ხოლო მეორე პედაგოგს, რომელიც ამ საგნის სილაბუსში იყო მითითებული, ასევე, არ აქვს არანაირი გამოცდილება ბიოქიმიაში. ბიოქიმიასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს ლაბორატორიაში, შესაბამისად, ის დაინტერესდა, რა სტრატეგიული გეგმები აქვს დაწესებულების წარმომადგენელს ამ კუთხით?

დაწესებულების წარმომადგენელმა ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე მოწვეული საბჭოს წევრს უპასუხა, რომ გასაუბრება მათ ინგლისელ ექსპერტთან გაუგრძელდათ 3-4 საათი, გასაუბრებისას მხოლოდ სამმა პერსონალმა გამოთქვა სურვილი ესაუბრა ქართულად. მისი თქმით, მათივე ინტერესებშია, რომ პედაგოგებმა იცოდნენ ინგლისური. რაც შეეხება შეფასების მეთოდოლოგიის უნიფიცირებას, მან განმარტა, რომ უნიფიცირებული პროფესიული განვითარების ნაწილში და პროფესიული ცოდნის ნაწილში უნდა იყოს განსხვავებული შეფასება. მისი თქმით, სილაბუსებში არ იყო ჩაშლილი შეფასება, რაც ახალ სილაბუსებში გამოასწორეს, თუმცა ის ფიქრობს, რომ ამის ვალდებულება არ ჰქონიათ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს მისი პირველი საგანმანათლებლო პროგრამა არ არის. ზოგ შემთხვევაში ის შლის შეფასების მეთოდებს, ზოგან არა, მთავარი მისთვის არის, რომ დაცული იყოს პრინციპები. რაც შეეხება შეფასებას, აქ გამოყენებულია ყველა ტიპის შეფასება, რომელიც იძლევა ობიექტური შეფასების საშუალებას: “ემ სი ქიუ”, პრეზენტაცია, “ესსე”, “ოსკი”. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა ასწავლოს ფიზიოლოგია არაფიზიოლოგმა, მან თქვა, რომ როდესაც ის იყო ნიუ ვიქენისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი, პირადად აჰყავდა ექიმები. ის თავად პროფესიით ქირურგია და ასწავლის ანატომიას. მისი მოსაზრებით, ქირურგმა უნდა ასწავლოს

ანატომია, რადგან მას აქვს უკეთესი ხედვა იმისათვის თუ რა სჭირდება ანატომიას მომავალში, ასევე, ის მიიჩნევს, რომ დერმატოლოგმა უნდა იცოდეს ჰისტოლოგია და მათ თამამად შეუძლიათ ასწავლონ ის. გარდა ამისა, მისი თქმით, გულის ფიზიოლოგიის დროს ის სთხოვს კარდიოლოგებს პროცესში ჩართვას. რაც შეეხება ექიმის მიერ ლაბორატორიული სამუშაოს განხორციელებას, მათ ჰყავთ ლაბორანტები. მისი თქმით, მათ ისეთი კვალიფიკაციის ექიმები ყავთ წარმოდგენილი, რომლებიც ფლობენ ამ ცოდნას. მაგალითად, ტრავმატოლოგები ჰყავთ ჩართული საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიაში, რაც არ ჰგონია აზრს მოკლებული. ასევე, იწვევენ ანატომებსაც, ასევე ჩაატარებენ კონკურსებს და მოიწვევენ ფუნდამენტური მედიცინის მასწავლებლებს.

მოწვეული საბჭოს წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა, რომელიც უშუალოდ იყო ინგლისური ენის გასაუბრების მონაწილე, აღნიშნა, რომ პერსონალი აბსოლუტურად თავისუფალი იყო აერჩია როგორც ინგლისური ენა, ისე ქართული ენა. ამან განაპირობა ის, რომ სამმა პერსონალმა აირჩია ქართული ენა სასაუბროდ. მისი აზრით ეს არჩევანი, რომ არ ყოფილიყო, ისინიც ისაუბრებდნენ ინგლისურ ენაზე.

მოწვეული საბჭოს წევრმა მაია გოგაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების გადახედვისას მართლაც თვალშისაცემი იყო სწავლის შედეგებისა და კონტენტის შეუსაბამობა და ერთი და იგივე კომპეტენციის განმეორება. ის დაინტერესდა როგორ ხდებოდა სასწავლო ლიტერატურის შერჩევა და ვისზე იყო ეს დამოკიდებული?

დაწესებულების წარმომადგენელმა, მოწვეული საბჭოს წევრს უპასუხა, რომ Elsewhere McGraw Hill-ის გამოცემლობა არის საუკეთესო და მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებს ბაზის არჩევაში სრული თავისუფლება ჰქონდათ, რეკომენდაცია გაეწიათ ზემოთ ჩამოთვლილ ბაზებთან მიმართებით.

მოწვეული საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მან ეს შეკითხვა დასვა იმიტომ, რომ მეექვსე კურსის სილაბუსი არის შინაგანი მედიცინა 5 და კლინიკური ფარმაცოლოგია, რომელიც არის ინტეგრირებული საგანი რომლის ძირითად ლიტერატურად მითითებულია კლინიკური ფარმაცოლოგია. სიუზან ფორდის წიგნი, არის საექთნო ლიტერატურის სახელმძღვანელო და შესაბამისად, მას ამ ორი სხვადასხვა საგნის, ფარმაცოლოგიისა და შინაგანი მედიცინისთვის, ეს წიგნი შეუფერებლად მიაჩნია, რასაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელიც, რომლის თქმითაც, ადრე, როდესაც ის სრულად კარნახობდა პედაგოგებს თუ რა უნდა მიეთითებინათ სილაბუსებში, იყო ნაკლები კითხვები, ამ შემთხვევაში კი პედაგოგებს მიეცათ მეტი თავისუფლება, თუმცა ამ შეცდომას გამოასწორებენ.

საბჭოს მოწვეული წევრი ივანე აბიათარი დაინტერესდა როგორ ჰქონდათ საგანმანათლებლო პროგრამაზე შედგენილი სწავლის შედეგების შეფასება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მათ მიერ შემუშავებული იქნა სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, რომლის მიხედვითაც გაწერილია რომელი საგანი რომელ წელს გადის, რა დონეზე და რა შედეგზე. მისი გადანაწილება ხდება შემდეგნაირად: თუ სტუდენტი იმ საგნის 70%-ს აიღებს, რომელიც მას კონკრეტულ კომპეტენციას ანიჭებს, ისინი მას მიღწეულად მიიჩნევენ.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, რამ განაპირობა PBL-ის არჩევით სასწავლო კურსებად წარმოდგენა, ასევე, ის დაინტერესდა ინტეგრირებულ სილაბუსებში როგორ ხდება მიმდინარე შეფასება?

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გაბისონიამ განმარტა, რომ PBL მათ არ აქვთ არჩევით სასწავლო კურსად, არამედ, სავარაუდოდ ეს არის ტექნიკური სახის შეცდომა. მისი თქმით, PBL-ის საშუალებით ხდება მასალის განმეორება, ანუ ის მანდატური კურსია. რაც შეეხება მიმდინარე შეფასებებს, მან განმარტა, რომ შეფასება არის ინტეგრირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ მას ეთმობა ცალკე დრო. შესაბამისად, საერთო ქულა იწერება 4-ვე საგანში, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე და იქიდან გამომდინარეც, რომ სტუდენტს მობილობის საშუალება უნდა მიეცეს მათ სჭირდებათ, რომ ცალკე გამოყოფილი ჰქონდეთ მაგალითად, ადამიანის სხეულის სილაბუსში ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიის

კრედიტები, თუმცა აზრობრივად ის არის ერთი საგანი და შეფასება არის საერთო. 5 ქულა იწერება ერთ მოდულში. ისინი მიდიან პროცენტული შემადგენლობის ტესტებისკენ, ასევე, იწყებენ მუშაობას ინტეგრირებულ “ქეისებზე”, რომლის გაკეთებასაც საკმაოდ დიდი დრო უნდა. ისინი გეგმავენ პირველი სემესტრისთვის რაღაც ნაწილში ინტეგრირებული “ქეისების” გაკეთებას, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან ერთად ის ექნება სხვა ნაწილსაც. მისი განმარტებით, ახალ სილაბუსებში ცალკე მითითებულია საათი. საგანმანათლებლო პროგრამა შექმნეს 2019 წლის იანვარში, როდესაც დარგობრივი ცოდნა იმდენად არ არსებობდა, შემდეგ მათ ჩაუტარდათ ცენტრის ტრენინგები, რომლის მეშვეობითაც დაგროვდა დარგობრივი ცოდნა.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 16:27 სთ

დამთავრების დრო 16:58

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციებისა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

- ა) გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდები რაც სათანადოდ ამოწმებს დისციპლინის კონკრეტულ სწავლის შედეგებს;
- ბ) გაიზარდოს იმ ექსპერტების რაოდენობა, რომლებთანაც დაწესებულება თანამშრომლობს;
- გ) გაიზარდოს საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტებისა და აკადემიკოსების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის;
- დ) განხორციელდეს OSCE გამომცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზევე, რათა ისინი მზად იყვნენ შემაჯამებელი შეფასებებისთვის;
- ე) განვითარდეს ფაკულტეტი სხვადასხვა სამედიცინო განათლების მეთოდებში;
- ვ) განვითარდეს აკადემიური და აფილირებული პერსონალის სასწავლო და ენობრივი უნარები, ასევე, გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება;
- ზ) კლინიკურ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდეს დარგობრივი უნარების გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკური კომპეტენციების დაზუსტება.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -17

წინააღმდეგი -2

გადაწყვეტილება:

- პირობითი აკრედიტაციის შესახებ


საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 28⁸ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

სახდომის მდივანი - ნიკა თიკანაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კიკნაძე ნიკოლოზ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სახდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

